
1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში “პრეექსპოზიციური პროფილაქტიკა მამაკაცებში რომელსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან” მომსახურება.

ტერმინთა განმარტებები

აივ ინფექცია - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექცია

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

პრეპ - პრეექსპოზიციური პროფილაქტიკა

TDF - ტენოფოვირი

FTC - ემტრიციტაბინი

პეპ - პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკა

არვ - ანტირეტროვირუსული მედიკამენტები

მსმ - მამაკაცი რომელსაც სქესობრივი კავშირი აქვს მამაკაცთან

კსმ - კომერციული სექს მუშაკი

ტგ - ტრანსგენდერი

დისკორდანტული წყვილი - სქესობრივ ურთიერთობაში მყოფი წყვილი რომლიდანაც ერთ-ერთი პარტნიორი აივ დადებითია

სარისკო ქცევა - აივ-თან ასოცირებული, რაიმე სახის ქცევა, რომელიც აძლიერებს აივ-ით დაინფიცირების რისკს

ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება - აივ ინფექცია/შიდსზე კონსულტირება და ტესტირება, რომელიც დაფუძნებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე

„მომსახურების“ გაწევის პერიოდი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 თვე, 2017 წლის აგვისტოდან 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

2. ტექნიკური დავალება

პროგრამის ძირითადი მიზანი: პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება მამაკაცებისათვის რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან, აივ ინფექციის პრევენციის მიზნით.

პროგრამის ამოცანები:

ამოცანა 1. მსმ პოპულაციის და შესაბამისი ქვე-ჯგუფების წარმომადგენლების ინფორმირება პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის შესახებ და მათი რეკრუტირება პროგრამაში ჩასართავად.

ამოცანა 2. რეკრუტირებული ადამიანების პირველადი სკრინინგი აივ ინფექციაზე და სარისკო ქცევაზე, პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების შესაბამისად და პროგრამაში ჩასართავი ადამიანების შერჩევა.

ამოცანა 3. ტენოფოვირისა (TDF) და ემტრიციტაბინის (FTC) შემცველი კომბინირებული ანტირეტროვირუსული პრეპარატის მიწოდება მსმ პოპულაციის შერჩეული წარმომადგენლებისათვის და შემდგომი კლინიკური და სოციალური მონიტორინგი.

პროექტის მიზნობრივი ჯგუფი:

- ❖ მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან

ქვე-ჯგუფები:

- ❖ გეი მამაკაცები;
- ❖ ტრანსგენდერი ქალები;
- ❖ ბისექსუალი მამაკაცები;
- ❖ კომერციული სექს მუშაკი მამაკაცები;
- ❖ კომერციული სექს მუშაკი ტრანსგენდერი ქალები;
- ❖ გეი დისკორდანტული წყვილები;
- ❖ კომერციული სექს მუშაკი მამაკაცებისა და ტრანსგენდერი ქალების კლიენტები;
- ❖ ინექციური და სხვა სახის ნარკოტიკების მომხმარებელი მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან;

გეოგრაფიული მოცვა:

პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მცხოვრები ადამიანებისათვის, თუმცა პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის როგორც სამედიცინო, ისე სოციალური მომსახურებების გაწევა განხორციელდება თბილისში;

პროექტის განხორციელების აქტივობები

ამოცანა 1. მსმ პოპულაციის და შესაბამისი ქვე-ჯგუფების წარმომადგენლების ინფორმირება პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის შესახებ და მათი რეკრუტირება პროგრამაში ჩასართავად. ამოცანა ითვალისწინებს პროექტის მიზნობრივი თითოეული ქვე-ჯგუფისათვის ყოვლისმომცველი და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდებას პრეექსპოზიციური პროფილაქტიკისა და ქვეყანაში მიმდინარე პროგრამის შესახებ, წინასწარ შემუშავებული, სპეციფიური საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი მსმ/ლგბტ სათემო ორგანიზაციის/ების ჩართულობა და თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაყრდნობით კომუნიკაციის წარმოება.
აქტივობა 1.1. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით საინფორმაციო მასალის შემუშავება და ბეჭდვა. პროექტის განხორციელების ფარგლებში უნდა იყოს შემუშავებული 5 სახეობის საინფორმაციო-საგანმანათლებლო-საკომუნიკაციო მასალა, თითოეული ტიპის მასალის ტირაჟი 1000 ცალი;
აქტივობა 1.2. შემუშავებული მასალის დისტრიბუციის უზრუნველყოფა პროექტის მიზნობრივი აუდიტორიის თითოეული ქვე-ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.
აქტივობა 1.3. საველე სამუშაოების განხორციელება პროექტის მიზნობრივი აუდიტორიის წარმომადგენლების ინფორმირებისა და რეკრუტირების მიზნით. საველე სამუშაოები უნდა იწარმოებოდეს სათემო ორგანიზაციის საველე და სოციალური მუშაკების მიერ.
აქტივობა 1.4. საინფორმაციო შეხვედრების/პაციენტთა სკოლების განხორციელება თემის წარმომადგენლებთან. შეხვედრები უნდა იწარმოებოდეს სათემო ორგანიზაციის მიერ. პროექტის განხორციელების ფარგლებში თვეში უნდა ჩატარდეს სულ მცირე 2 შეხვედრა; თითოეულ შეხვედრაზე დამსწრეთა რაოდენობა სულ მცირე 10 ადამიანი;
აქტივობა 1.5. ინტერნეტ/სოციალური მედიის გამოყენებით უწყვეტი კომუნიკაცია მსმ თემის წარმომადგენლებთან მათი ინფორმირებისა და კონსულტირების მიზნით. თემის წევრებთან ინტერნეტ და სოციალური მედიის გამოყენებით კომუნიკაცია უნდა იწარმოებოდეს სათემო ორგანიზაციის მიერ.
აქტივობა 1.6. თემის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება, მათი კონსულტირება და მათთვის საინფორმაციო მასალის მიწოდება სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე. თემის წარმომადგენლებისათვის სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე ინფორმაციის მიწოდებაში, კონსულტირებაში და საინფორმაციო მასალის გავრცელებაში ჩართული უნდა იყოს სამედიცინო პერსონალი ან/და ეპიდემიოლოგები.
ამოცანა 2. რეკრუტირებული ადამიანების პირველადი სკრინინგი აივ ინფექციაზე და სარისკო ქცევაზე, პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების შესაბამისად და პროგრამაში ჩასართავი ადამიანების შერჩევა.
აქტივობა 2.1. პროექტის ფარგლებში რეკრუტირებული ადამიანების სკრინინგი პროგრამის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე. პირველადი სკრინინგი პროგრამის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე უნდა განხორციელდეს როგორც სათემო ორგანიზაციის, ისე სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე შესაბამისი პერსონალის მიერ, იმის გათვალისწინებით თუ ვის მიერ მოხდა ბენეფიციარის რეკრუტირება და ვის მიმართა მან მომსახურებისათვის. სკრინინგი უნდა განხორციელდეს რისკის შეფასების კითხვარის გამოყენებით. პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა მოხდეს ადამიანის პირველადი სკრინინგი/ტესტირება აივ ინფექციაზე; პროგრამის კრიტერიუმების ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში მას უნდა გაეწიოს შესაბამისი რისკის შემცირების კონსულტირება და მოხდეს მისთვის შეთავაზება და მისი გადამისამართება აივ ინფექციის ბაზისური პრევენციული პაკეტის მისაღებად.
აქტივობა 2.2. პირველადი ტესტირება აივ ინფექციაზე. პროგრამის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბენეფიციარს უნდა ჩაუტარდეს პირველადი ტესტირება აივ ინფექციაზე; ტესტირება უნდა განხორციელდეს, როგორც სათემო ორგანიზაციის, ისე სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე შესაბამისი პერსონალის მიერ.

აქტივობა 2.3. პირველადი კონსულტაცია ექიმთან, კრეატინინის დონის განმსაზღვრელი ტესტი და ტესტირება ვირუსულ B ჰეპატიტზე. მას შემდეგ რაც აივ ტესტირებისა და მწვავე აივ ინფექციის სიმპტომებზე სკრინინგის შედეგად დადგინდა ბენეფიციარის აივ ნეგატიური სტატუსი მას უტარდება პირველადი კონსულტაცია ექიმთან, სისხლში კრეატინინის განმსაზღვრელი ტესტი და ტესტირება ვირუსულ B ჰეპატიტზე; რათა დადგინდეს ნაჩვენებია თუ არა მისთვის პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის/ანტირეტროვირუსული პრეპარატის მიღება. აღნიშნული მომსახურებების მიწოდება ხორციელდება სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე.

აქტივობა 2.4. პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმის ხელმოწერა. ამოცანა 2-ის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა აქტივობის უზრუნველყოფის შემდგომ უნდა განხორციელდეს პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმის ხელმოწერა, პაციენტსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის.

ამოცანა 3. ტენოფოვირისა (TDF) და ემტრიციტაბინის (FTC) შემცველი კომბინირებული ანტირეტროვირუსული პრეპარატის მიწოდება მსმ პოპულაციის შერჩეული წარმომადგენლებისათვის და შემდგომი კლინიკური და სოციალური მონიტორინგი.

აქტივობა 3.1. პროგრამაში ჩართული ადამიანებისათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურებების გაწევა.

პროგრამის ფარგლებში გასაწევი სამედიცინო მომსახურება მოიცავს:

- ექიმის კონსულტაცია;
- სისხლში კრეატინინის განსაზღვრის ტესტი;
- ტესტირება B ჰეპატიტზე - HBsAg;
- ტესტირება C ჰეპატიტზე;
- ტესტირება სიფილისზე;
- ვირუსულ B ჰეპატიტზე იმუნური სტატუსის განსაზღვრა - anti-HBs;
- აივ ტესტირება;
- კონფირმაციული ტესტირება აივ-ზე;
- სისხლის საერთო ანალიზი;

აღნიშნული სამედიცინო მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე. პუნქტი 2.5. სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტი შესაბამისად.

აქტივობა 3.2. პროგრამაში ჩართული ადამიანებისათვის შესაბამისი სოციალური მომსახურებების გაწევა.

პროგრამის ფარგლებში გასაწევი სოციალური მომსახურებები მოიცავს:

- სოციალური თანხლება/შემთხვევის მართვა;
- რისკის შემცირების კონსულტირება;
- დამყოლობის კონსულტირება;
- პაციენტთა სკოლები/ჯგუფური კონსულტაციები;
- კონდომისა და ლუბრიკანტის გაცემა;

***კონდომებისა და ლუბრიკანტების მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.**

სოციალური მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს სათემო ორგანიზაციის მიერ, 2.5. სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტი შესაბამისად.

აქტივობა 3.3. ტენოფოვირისა (TDF) და ემტრიციტაბინის (FTC) შემცველი კომბინირებული ანტირეტროვირუსული პრეპარატის გაცემა

განმახორციელებლისათვის მედიკამენტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

2.1. მონაცემთა ბაზა

პროექტით უნდა იყოს გათვალისწინებული მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფუნქციონირება. მონაცემთა ბაზაში პროგრამის ბენეფიციართა რეგისტრაცია მოხდება კონფიდენციალურად 15 ნიშნა კოდით. ბაზაში ბენეფიციართა რეგისტრაციის ინსტრუქცია მიწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ. მონაცემთა ელექტრონული ბაზა ასევე მიწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ.

2.2. ხარისხის შეფასების ინდიკატორები

ხარისხის ინდიკატორი	მიზნობრივი პოპულაცია	ნომინატორი	დენომინატორი
აივ ტესტი, პირველადი	რისკის შეფასების კითხვარით პროგრამის კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი ყველა ადამიანი	პრეპროგრამაში ჩართვამდე 1 კვირით ადრე დოკუმენტირებული აივ ნეგატიური სტატუსის მქონე ადამიანების რაოდენობა	პროგრამაში ჩართული ადამიანების რაოდენობა/ადამიანების რაოდენობა ვისაც დაენიშნა პრეპ
აივ ტესტი, განმეორებითი	პრეპროგრამაში ჩართული ყველა ადამიანი	პრეპროგრამაში ჩართული ადამიანების რაოდენობა რომლებსაც სულ მცირე 3 თვეში ერთხელ უტარდება ტესტირება აივ-ზე.	პრეპროგრამაში >3 თვის განმავლობაში უწყვეტად ჩართული პაციენტების რაოდენობა
პრეპ მედიკამენტები	პრეპროგრამაში ჩართული ყველა ადამიანი	ადამიანების რაოდენობა ვისთვისაც დანიშნული მედიკამენტების რეჟიმი შეესაბამება ეროვნულ გაიდლაინს	ადამიანების რაოდენობა, ვისაც დაენიშნა პრეპ მედიკამენტები
სეროკონვერსია	პრეპროგრამაში ჩართული ყველა ადამიანი	ადამიანების რაოდენობა რომლებსაც დაუდასტურდათ აივ დადებითი სტატუსი პროგრამის ფარგლებში მედიკამენტების მიღების პარალელურად	ადამიანების რაოდენობა რომლებიც >1 იღებენ პრეპ-ს
სეროკონვერსია, რეზისტენტული ვირუსი	პროგრამაში ჩართული ყველა ადამიანი ვისაც განუვითარდა გენოტიპური რეზისტენტობა აივ დადებითი ტესტის შედეგიდან 4 კვირის განმავლობაში	პრეპ მედიკამენტების მიღების დროს სეროკონვერტირებული ადამიანების რაოდენობა რომლებსაც დაუდგინდათ რეზისტენტობა გენოტიპირების ტესტის შედეგად	ადამიანების რაოდენობა ვისაც განუვითარდა გენოტიპური რეზისტენტობა აივ დადებითი ტესტის შედეგიდან 4 კვირის განმავლობაში

2.3. პროგრამაში ბენეფიციარების ჩართვის გრაფიკი

	სექტემბერი - ოქტომბერი 2017	ნოემბერი - დეკემბერი 2017	იანვარი - თებერვალი 2018	მარტი - აპრილი 2018	მაისი - ივნისი 2018	ივლისი - აგვისტო 2018	სექტემბერი - ოქტომბერი 2018
პროგრამაში ჩართული ადამიანების კუმულირებული რაოდენობა მოცემული პერიოდისათვის	30 ადამიანი	60 ადამიანი	90 ადამიანი	120 ადამიანი	150 ადამიანი	180 ადამიანი	200 ადამიანი

2.4. სამედიცინო მომსახურების გაწევის პაკეტი

№	პაკეტი	პაკეტში შემავალი მომსახურებები
1	საბაზისო პაკეტი (პირველი ვიზიტი)	მოიცავს ყველა სამედიცინო მომსახურებას (პირველი ვიზიტი და მე-3 თვე)
2	გაფართოებული პაკეტი	მოიცავს პროგრამაში ჩართვიდან 1 თვეს მისაწოდებელ სამედიცინო მომსახურებებს
3	სტანდარტული პაკეტი *	მოიცავს მომსახურების მე-6, მე-9 და მე-12 თვეს გასაწევ სამედიცინო მომსახურებებს.

მიმწოდებლის მიერ უნდა მოხდეს თითოეული პაკეტის განფასება. პროგრამის განხორციელების ფარგლებში ანგარიშგება და შესაბამისი ანაზღაურება მოხდება განფასებული პაკეტების მიხედვით.

- **შენიშვნა:** პაკეტი №3 (სტანდარტული პაკეტი) გარდა სტანდარტული მომსახურებებისა, მოიცავს ექიმის გადაწყვეტილების მიხედვით პაციენტისათვის მომსახურებების მიწოდებას; პაკეტის განფასებისას უნდა მოხდეს თითოეული დამატებითი მომსახურების განფასება. ანაზღაურება მოხდება სტანდარტული პაკეტისა და მოცემულ თვეს გაწეული დამატებითი მომსახურების გათვალისწინებით.

2.5. სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტი

მომსახურება	პირველი ვიზიტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ექიმის კონსულტაცია	X	X	X	X			X			X			X
კრეატინინის ტესტი	X	X		X			X			X			X
HBsAg	X			X			*			*			*
Anti - HCV	X	X		X			*			*			*
TPHA	X	X		X			*			*			*
anti-HBs	X	X		X			*			*			*
Anti HIV	X	X		X			X			X			X
სისხლის საერთო ანალიზი	X			X									
მედიკამენტის გაცემა	X	X	X	X			X			X			X
საჭიროების შესაბამისად პაციენტი უნდა გადამისამართდეს შემდეგ მომსახურებებზე													
კონფირმაციული ტესტირება აივ-ზე	*	*		*			*			*			*
არე მკურნალობა	*	*		*			*			*			*
კონფირმაციული ტესტირება HCV	*	*		*			*			*			*
HCV მკურნალობა	*	*		*			*			*			*
სიფილისის მკურნალობა	*	*		*			*			*			*

* გამოკვლევა ჩატარდება ექიმის გადაწყვეტილების მიხედვით/საჭიროებისამებრ

შენიშვნა:

პროგრამაში ჩართვიდან მე-12 თვის შემდეგ, პაციენტებს მომსახურება მიეწოდებათ სტანდარტული პაკეტის მიხედვით.

2.6. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიწოდების გრაფიკი

მომსახურება	პირველი ვიზიტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სკრინინგი პროგრამის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე	X												
პირველადი ტესტირება აივ-ზე	X												
კონფორმაციული ტესტირება აივ-ზე	X	*		*			*			*			*
სოციალური თანხლება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
ექიმის კონსულტაცია	X	X	X	X			X			X			X
კრეატინინის ტესტი	X	X		X			X			X			X
HBsAg	X			X			*			*			*
Anti - HCV	X	X		X			*			*			*
TPHA	X	X		X			*			*			*
anti-HBs	X	X		X			*			*			*
Anti HIV	X	X		X			X			X			X
სისხლის საერთო ანალიზი	X												
რისკის შემცირების კონსულტირება	X	X	X	X			X			X			X
დამყოლობის კონსულტირება	X	X	X	X			X			X			X
პაციენტთა სკოლები	X	X	X	X			X			X			X
მედიკამენტის გაცემა	X	X	X	X			X			X			X
კონფორმაციული ტესტირება აივ-ზე	*												
არვ მკურნალობა	*												
კონფორმაციული ტესტირება HCV	*												
HCV მკურნალობა	*												
სიფილისის მკურნალობა	*												

2.7. პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები

პრეპ პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები მსმ პოპულაციისა და ტრანსგენდერებისათვის		
ასაკი	>18;	სრულწლოვანი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
აივ სტატუსი	აივ ნეგატიური პროგრამაში ჩართვამდე ჩატარებული ტესტირების შესაბამისად	
აკმაყოფილებს რომელიმეს, ჩამოთვლილი ფაქტორებიდან უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში		
მუდმივი აივ დადებითი სექსობრივი პარტნიორი, რომელიც არ მკურნალობს ან ახალი დაწყებული აქვს მკურნალობა		

ჩართულია კომერციულ სექს მუშაობაში
ჰქონია ინექციური ან სხვა სახის ნარკოტიკების მოხმარების პრაქტიკა
ჰქონია რომელიმე სქესობრივი გზით გადამდები დაავადება (სიფილისი, გონორეა, ქლამიდია)
ჰყავდა 5 ან მეტი სქესობრივი პარტნიორი
არ გამოუყენებია/იყენებს კონდომს ორივე პასიური და აქტიური სქესობრივი პრაქტიკის დროს
აივ პრევენციის მიზნით მიუძღრთავს პოსტ-ექსპოზიციური პროფილაქტიკისათვის

2.8. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი ხარჯების დაფარვა:

- ადამიანური რესურსის ანაზღაურება სამედიცინო დაწესებულებასა და სათემო ორგანიზაციაში;
- მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო მასალის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სოციალური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები;
- შეხვედრებისა და პაციენტთა სკოლების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- შემთხვევების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- საკომუნიკაციო ხარჯები;

3. მომსახურების განფასება:

მომსახურების ჯამური ღირ-ბა:			
მათ შორის:			
დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	სულ თანხა
საბაზისო პაკეტი (პირველი ვიზიტი)			
გაფართოებული პაკეტი			
სტანდარტული პაკეტი			
HBsAg			
Anti - HCV			
TPHA			
anti-HBs			

შენიშვნები:

მომსახურების პაკეტების განფასება უნდა მოიცავდეს ტესტებისა და სახარჯი მასალის ხარჯებს;

მედიკამენტების მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

4. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები

- 4.1. მონაწილე ორგანიზაციას (ასევე მის ქვე კონტრაქტორს/ებს) უნდა გააჩნდეს აივ/შიდსის კლინიკური და ლაბორატორიული მომსახურების განხორციელების სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება;
- 4.2. შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის სამედიცინო ლიცენზია/ნებართვა (მათ შორის კლინიკური/ლაბორატორია);
- 4.3. პროექტის ფაგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილე სამედიცინო პერსონალს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის სერთიფიკატი/ნებართვა;
- 4.4. პროექტში დასაქმებულ ძირითად პერსონალს უნდა ჰქონდეს პროექტების მართვის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- 4.5. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციას ან/და მის ქვე-კონტრაქტორს უნდა გააჩნდეს პროექტის მიზნობრივ ჯგუფის (მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან) და შესაბამისი ქვე-ჯგუფების თემის წარმომადგენლებთან მუშაობის გამოცდილება, მათ შორის აღნიშნული ჯგუფების თემის წარმომადგენლებზე წვდომა, ისევე როგორც სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით (მაგ. განხორციელებული პროექტების ხელშეკრულებები, ანგარიში და ა.შ.);
- 4.6. ტენდერში მონაწილე ორგანიზაცია ან/და მისი ქვე-კონტრაქტორი უნდა იყოს სათემო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს პროექტის მიზნობრივი ჯგუფისა და ქვე-ჯგუფების შესაბამის თემს.